

სახალხო გაზეტი


საქართველო
საბჭოთაო

სურათებიანი ჟამათება

გაზეტის № 747

ღამათების № 131

კვირა, 11 ნოემბერი 1912 წ.



ტ რ ფ ი ა ლ ე ბ ა, ქანდაკება ალიოსი.

* *

ჩემის ლექსების ძველსა ეტრატსა
შენს მაგიდაზედ მივეცი ბინა;

ამოდ ვეცადე, მხოლოდ სურვილით
მუხათა ხლება მე აღმედგინა...
დილას დავხედე—ვნახე ეტრატზედ
ჩვენის ბავშვისა სტივირ-სალამური;

გული აღივსო ახალის გრძნობით,
სამწუხაროა თუ საამური?!.

აჰა, ჩაჰბერე, შვილო, სალამურს,
შენთვის ადრეა წუხილი-ურვა;

აჰა, დასწიწკნე ჩემი ლექსები!
აჰა, განგებამ ასე ისურვა.

6-ნოემბერს.

ბაბილინა.

შეკრილი

საღამო ხანს, როდესაც მზემ გადიხარა და რომ დაუბერა, პეტრე სამკალიდან შინ დაბრუნდა. ქის-კარში დედა შეეგება. ხელში წერილი ეჭირა და ჰკანკალებდა. კონვერტს ყვითელი ფერი დაჰკრავდა, ადრესი წყალ-ნარევე მელნით იყო დაწერილი და საერთოდ ეტყობოდა, რომ წერილი დიდი ხნისა იყო.

— შვილო! — მიამახა დაღალულ პეტრეს დედა. — წერილია, გენაცვალოს ჩემი თავი, წერილი! გზირმა ჩამოიტანა. პავლესი იქნება, თავს შემოგველოს დედაი, პავლესი! — ქა! განა-არა გული მიგრძობდა. წუხელის სიზმარი ვნახე, ჩვენს „დედოს“ სახარე ხბო მოვეგო! მაკე კი არ იყო, ისე მოვეგო! განა-არა, ვიცოდი, რამე გამეხარდებოდა.

პეტრეს სახეს სიხარულმა გადაჰკრა. დედას წერილი გამოართვა, დაჰხედა, გადატრიალ-გადმოატრიალა და ისე ჩააცქერდა, როგორც ცხვარი ცეცხლსა. პავლე, მისი უფროსი ძმა, აგერ წელიწადზე მეტია, რაც სალდათად იყო წასული, საღლაც შორს, „ცივ და გას ტიალებელ“ ქვეყანაში — ასე ეძახდა პავლეს დედა, მართა, რუსეთს. პირველ ხანად, შვილის წერილები თვეში ერთხელ მოსდიოდა, მაგრამ ამ უკანასკნელსამ თვეს კი ძალიან დაუგვიანა, და დედა ილეოდა. ეხლა კი,

გაყვითლებული, დიდი ხნის მგზავრობით დასამურტლული წერილი ხელში ეჭირა, ჰკანკალებდა და პირჯვარს იწერდა. ეს წერილი ისეთ ქვეყნიდან იყო მოსული, რომელიც მას არ ენახა, რომლისაც მართამ არაფერი იცოდა და რომლის არსებობაც მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც მის უფროს შვილს კენჭი ერგო. ეხლა კი, ეს ქვეყანა, შორეული და ცივი, დედის ფიქრად ქცეულიყო. იქ ხომ მისი პირმშო შვილი იყო გადახვეწილი, ხომ იმ უცხო ქვეყანამ მიიკედლა იგი! როცა პავლეს კენჭი ერგო, მართას მაშინ უთხრეს, რუსეთი ცივი ქვეყანაა და მას ასე ეგონა



სოხუმის საურთიერთო ნღობის საზოგადოების, ახალი შენობა.

და სახმარებლად ყინულს აღნობენო; რომ ხალხი იქ მუდამ ტყავში უნდა იყოს გახვეული, რომ იქ ცხელი საჭმლის ქაშა შეუძლებელია, რადგანაც ქვებს ცეცხლიდან გადმოსდგამენ თუ არა, მაშინვე გაიყინებაო. ყველაფერი ეს იცოდა მართამ, მაგრამ ერთი რამ ვერ გაეგო: რადა სცხოვრობს იმ ცივ ქვეყანაში ხალხი, რა უნდა გააკეთოს იქა? იქ ხომ არც ხვნა შეიძლება, არც თესვა, არც ლეწვა. ან კი რა აცხოვრებთ იქაურებს. ან რა უნდათ იმ სატალო აღვილას ჯარი, რომ ჩვენს შვილებს იქით მიერეკებინ? იქ, იმ ცივ ქვეყანაში, ვინ მიუხტებათ? სათათრეთი ხომ აქედ არის, ქვეით მხარეს და თუ ომი ასტყდა, აქ უნდა ასტყდეს, და არა იქა. ცოტა არ იყოს, უხაროდა კიდევ, მისი შვილი სათათრეთს რომ მოაშორეს და საომარ ადგილიდან შორს გადასახლეს: თუ ომი ასტყდება, ჩემს შვილს არა მოუვა რაო. ეს ასე იყო, მაგრამ რად უნდოდათ ჯარი იქ, სადაც მისი შვილი იყო გადასახლებული, ამისი ვერა გაეგო რა. ეს ისეთი საკითხი იყო, რომელსაც თავის სიცოცხლეში ვერ გადასწყვეტდა. შვილის პირველმა წერილმა მართა ძალიან დაალონა. შვილი სწერდა: აქ კუდად მაცხოვრებენ, სულ „ბორჩსა და ქაშას“ მაქმევენო. მართას ეს „ბორჩი“ და „ქაშა“ უნახავად შესჯავრდა. „ბორჩი“ რაღაც წუმზე და მუდამ ცივი წვენი ეგონა, „ქაშა“ კი მყრალი და ბინძური. ან კი სხვას რას სჯამენ იმ ქვეყანაში, სადაც არაფერი მოდისო; ჰფიქრობდა ხოლმე მართა. „წელი გადამწყვიტეს“ — იწერებოდა პავლეს — „თოფის ქერიოთა და ზეზე დგომით“. დედა მუხლებში იკემდა და სტიროდა, და როცა თავის იშვიათ ლობიოს მოხარშავდა ხოლმე, გემრიელად ილუკებოდა და ცრემლ მორეული ამბობდა: „დედა მოგიკვდეს, შვილო, დედაი! შენ რაღაც ქაშას გაქმევენ და მე კი აქ ლობიოს მივირთმევე! ლუკმა არ ჩადის ყელში“. როცა მეზობლები ჰკითხავდნენ, შვილისა რა ამბავი მოგდისო, მართა წუწუნით უპასუხებდა:

— კარგი ამბავი, ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს! ჩემი ბიჭი კარგად არის. იმ დღესაც მომოვიდა ქალაღი, — და

მუდამ იმ დღეს იტყოდა ხოლმე, თუნდაც ეს წერილი ორი თვის წინად მოსვლოდა — იმ ოხერ ქვეყანაში თურმე ძალიან ცივა, სულ მყრალ ქაშას აქმევენ და თოფით ხელში გაქმული დაჰყავთ. დედა კი მოუკვდეს იმასა!

და ასე, ამ ფიქრით და დარდით მიდიოდა დღეები, თვეები, გავიდა წელიწადი და ერთ ხანად პავლე წერილმა დაიგვიანა. დედის დარდს საზღვარი არა ჰქონდა! გონება გამოფიტული დადიოდა და სულ ამასა ბუტბუტებდა: დედა მოგიკვდეს შვილო, დედა! წერილის დაგვიანების პირველ ხანად თავში ყოველივე შესაძლებლობა მოსდიოდა: შეიძლება გაცივდა და ქვალი დაადგაო, ხან იფიქრებდა, ქაშამ თუ აწყინა, გულს მოეხვა და მოჰკლაო, ხან, ვაი თუ თოფი გაუვარდა და მოჰკვდაო. ამისთანა ფიქრები ბევრი ჰქონდა, მაგრამ რაკი მათ ყველას შეეჩვია და გონებაც დაეღალა, რაკი წერილიც იგვიანებდა; დედის მოსაზრებანი თავის-თავად გაჰქრნენ, გონება დაცარიელდა და მხოლოდ ტუჩები უაზროდ იმეორებდა: დედა მოგიკვდეს, შვილო, დედა! და ამ ფრაზით მართა დადიოდა, მოძრაობდა, მუშაობდა, ხან ქათმებს მიჰხედავდა ხოლმე, ხან კერძს, ხან საბჭელში შედიოდა, ხან თონეში ჩაეყუდებოდა და სულ ამას ბუტბუტებდა:

— დედა მოგიკვდეს, შვილო, დედა! — თან ნელ, ცრემლებს იწმენდა და მათი სიკვარით დამწვარ ცხვირს, ორი თითით, სრუტუნით იხოცავდა.

ეხლა აი, როცა ხელში შვილის ჯერედ გაუხსნელი წერილი ეჭირა, მთლად ჰკანკალებდა. ამ წერილში, მისი სიცოცხლის ამბავი უნდა ყოფილიყო. წერილს უნდა ეთქვა ყველაფერი და ყველა ეჭვები გაენეფანტა. წერილი ეტყოდა, დაადგა თუ არა მის შვილს ქვალი, ქაშა გულს ხომ არ მოეხვია და სხვა. ამიტომ წერილი ხელში მაგრა ეჭირა და როცა პეტრემ გამოართვა, მართა დასცქეროდა, ორივე ხელის თითები გაეხარჯუნა და წერილისათვის გარს შემოეხვივნა, თითქოს შეინოდა: პეტრე ხელიდან გაუშვებს და წერილი გაუფრინდებოა, თან ჩქარობდა, როდის იქნება პეტრემ წერილი უკან დამიბრუნოსო.

პეტრეს კი წერილი ხელში ეჭირა და დაღალულ, დაღონებულ თვალებით დასცქეროდა. იქ, იმ გაყვითლებულ ქალაღის შიგნით მისი უფროსი ძმის ამბავი იყო, ამხანაგისა და თანამშრომლისა. როცა პავლე სალდათად წავიდა, პეტრეს შრომა გაუარკვეცდა, ოჯახი კი გაღარობდა და ეხლა იმედი ჰქონდა, ეკების წერილმა ძმის მალე დაბრუნების ამბავი მომიტანოსო. ეს დაბრუნება წელში გადამწყვეტ მუშაობას შეამსუბუქებდა, ოჯახს მუშა ხელს დაუბრუნებდა და ეს ხომ სიკვდილ-სიცოცხლის უპირველესი იყო. დასცქეროდა პეტრე წერილს და თან ეშინოდა: ამ წერილში ძმა ფულს არა მთხოვდისო.

— მოიტა ე წერილი აქა! — შეუტია ბოლოს მოთმინება დაკარგულმა დედას. — რას ჩასქცერიხარ. შენი თავის გახეთქამ ეხლავ არ ჩააბულობო.

განა თითონ კი ჩააბულობდა წერილსა, მაგრამ როცა თითონ ეჭირა ხელში, იმედიანად იყო.

პეტრემ ამოიოხრა, წერილი დედას დაუბრუნა და დერეფნისაკენ გასწია. აქ ნამგალი ლურსმანზე ჩამოჰკიდა და ქილობი გადაფარებულ ტახტზე ჩამოჯდა. თვალები დაღონებული და სედიანი ჰქონდა. უხაროდა ძმის ამბავი რომ მოუვიდა, მაგრამ წერილის შინაარსი კი აშინებდა: ვინ იცის რა სწერია იქა! ოკი წლისა იყო. წვერი-ულვაში ახლად ჰქონდა აშლილი, სახე მზით დამწვარი და გაშავებული. პატარა თვალებს დიდრონი წარბები ჰფარავდა, შუბლს ნაოქები ეტყობოდა. მთელ მის სხეულს ძალ-ღონის სიო, ასდიოდა, მაგრამ ცხოვრებას წელში მოელუნა. პეტრე უფრო მეტსა ჰფიქრობდა ვიდრე მისი დედა. მაგრამ ამ ფიქრის არ ამხვლდა. ეს ფიქრი მძიმე იყო, მტანჯავი და ტანჯული. ამაში იყო ვერ გაგება ცხოვრების ამოცანისა, არსებობის მიზნისა. ამ ფიქრით ცხოვრება იმ სახარელ ზღაპარსა ჰგავდა, რომლებიც პეტრეს თავის პატარა ბიჭობა ჰქონდა გაგონილი, ღარიბ მებრეო-

ზის დროს. მაგრამ ცხოვრებაში იმ საშინელ ზღაპრების უფრო საშინელი იყო: ზღაპრებში ფანტაზია იყო, ცხოვრებაში კი სინამდვილე. მაგრამ ზღაპრების ფანტაზია სიმართლესა ჰგავდა, ცხოვრება კი არა. პეტრეს ერჩინა ცხრა თავიან მღვდს ან გველიაშაპს შეჭყროდა, ვიდრე ცხოვრებას. ისინი ადამიანს ერთბაშად შესქამდნენ ხოლმე და არაწვალდნენ, ცხოვრება კი ნელ-ნელა სქამს ადამიანს და აწვალდებს. როცა მღვდი ან გველაშაპი სქამდა ადამიანს, ამის მიზანი პეტრეს ესმოდა: მღვდიც და გველაშაპიც ცოცხალი არსებანი იყვნენ და კუქის გაძღომა უნდოდა, ხოლო რისთვისა სქამს ცხოვრება ადამიანს, პეტრეს ეს ვერ გაეგო ლე ჰგონებდა, რომ ვერც ვერადროს გაიგებდა. ისევე ვერ გაიგებდა ამას, როგორც ვერ გაიგეს ცხოვრების მიერ შექმულმა მისმა მამა-ბიძამ, ორმა ძმამ და ნახევრად შექმულმა დედამ. ვისი მოგონილი იყო ცხოვრება, არც ეს იცოდა. იცოდა მხოლოდ, რომ ჰქონდა ძალა, ღონე, ახალ-გაზრდობა, გონება, მაგრამ ყველაფერი ეს უახროდ და უნაყოფოდ იხარჯებოდა. როცა პავლე წერილით ფულს ითხოვდა ხოლმე, პეტრე მუდამ დარწმუნებული იყო, რომ ამას მისი ძმა კი არა თხოულობს, არამედ იგივე კაცი-ქამია, გაუმაძღარი ცხოვრება: ეხლაც, როდესაც ძმის წერილი დაინახა, შეეშინდა, იმავე ცხოვრებამ ახალი რამ არ მოითხოვოსო.

— რას დაჯექი, ქაა! — შეუტია დედამ. — წერილს წაკითხვა არ უნდა? ადე, მღვდლიაანთა ადი, სთხოვე თავიანთი ბიჭი გამოგაყოლონ! აბა, სხვა ვინ წაგვიკითხავს?!

პეტრე ადგა, შინ შევიდა, კიდობნიდან ერთი პური ამოიღო, ილიაში დაიჭირა და გზას გაუდგა, თან პურსა სტეხდა და ილუკებოდა. მართალია, ეშინოდა წერილის წაკითხვისა და ცხოვრების ახალ მოთხოვნობათა გაგებისა, მაგრამ ეს აუცილებელი იყო და ამიტომ ნელა, ზანტად მიიბიჯებდა.

მღვდლის შვილი ვენახში წასულიყო და შინ არ დაუხვდა. ფოფოლიამ უთხრა, თუ ადრე მოვიდა გამოგზავნი ან ხვალ დილით ჩამოვარო.

პეტრე ხელ-ცარიელი დაბრუნდა სახლში. დედა ისევ დერეფანში იჯდა. წერილი ხელში, ეჭირა, მუხებზე დადებულნი, ცხვირის სრუტუნით ცრემლებს იწმენდა და ბუტბუტებდა:

დედა მოგიკვდეს, შვილო, დედა!

პეტრემ თავისი ლოგინი, ეზოში გაშალა და ტანთ გაუხდელი, გულ-აღმა დაწვა. ცა მოწმენდილი და ვარსკვლავებით მოქედილი იყო. მან პეტრეს თვალეში გაუღიმა, ციმციმით

მიიზიდა თავისაკენ. პეტრე შესცქეროდა ცას და ფიქრები უტრიალებდა. რალაც მძიმე და გაუგებარი რამ იყო მისი ფიქრი. მის თვალთაწინ გაიშალა მთელი მსოფლიო, ისევე საიდუმლო, როგორც მთელი ცხოვრება. მაგრამ სამყარო


ლამაზი იყო, ლამაზი იყო აგრედვე კაცი-ქამია ცხოვრებაც წაუკითხავი წერილი კი ლოდსავით ედო გულზე. საქირო იყო. გაგება სიმართლისა, საქირო იყო ცოდნა ამის ამბავისა, მაგრამ წამკითხავი არავინ იყო და ამ მძიმე ფიქრთა დროს სიომ დაუბერა, პეტრეს განურებული გულ-მკერდი გაუფრიალა და გააფრეოლა. ახალ-გაზრდამ დასძლია ცხოვრებისადმი შიშს და პეტრეს სახეზე ღიმილი მოადგა. იგი ლოგინზე გაიკიმა, გაიზმორა და გაიღიმა.

— ჰე! იმ დღეს ი გოგომ როგორი გამიღიმა: — გაიფიქრა პეტრემ ლე რალაც მოაგონდა. შემდეგ გაიფიქრა, რომ მარტოს მუშაობა გაუძნელდება. უნდა თუ არა მუშა უნდა შეიშველიოს. დღევანდელი მუშაობა მოაგონდა! ყანაში მარტო იყო. ირგვლივ სრული სიჩუმე იდგა, მხოლოდ ნამგლის წკრიალი ისმოდა, სიცხე ბეჭებს უწვამდა და ყველა ეს სამუშაოს ამძიმებდა. ამიტომ გადასწყვიტა ხვალ მუშას დავიჭერო. ბოლოს ნელ-ნელა ჩასთელიმა. დედა მიეპარა, საბანი წაახურა და თითონაც დაწვა, დერეფანში. მართას სრულგებით არ ეძინებოდა. თავ-ქვეშ შვილის გაუნსნელი წერილი ედო და იმისასა ჰფიქრობდა. მთელ ამ ამბავში ერთი რამ იყო გაუგებარი. შორს ქვეყნიდან საყვარელ კაცას იმბავი მოუვიდათ დედა-შვილსა და ამის გაგება კი არ შეეძლოთ. ეს ამბავი ახლო ჰქონდათ, დედას თავ-ქვეშ ედო. ამ ამბავს შეეძლო ეს ტანჯული ხალხი გაეხარებინა, სამი თვით გულში დაგუბებული დარდი და უცოდინრობა დაეფანტა, ან შეიძლებოდა ერთი დიდი უბედურება შეექმნა, ამ წერილს, მაგრამ ყველა ეს საიდუმლოდ რჩებოდა, გაუგებრად. საქარისი კი იყო ვაეხსნათ წერილი, დაეხედნათ ზედ ლე ყველაფერს გაიგებდნენ, მაგრამ ეს დახედვა არავინ იცოდა, და ამიტომ წერილს დედის თავ-ქვეშ ეძინა.

ირგვლივ სიჩუმე იყო. მთელს მიდამოს ძილი მოსდებოდა. ეს ძილი იყო მაშვრალთა და ტანჯულთა, ცხოვრების დევვეშაპობის დაშინებულთა. ეს ძილი მკვენსარე იყო, ფხიზელი,

დაღალული, დარდიანი. მაგრამ ამ ძილში ისვენებდა მოქანცული ჯანი მშრომელისა, დატანჯული გული დედისა. ძალმე დაიყევა და გზისაკენ გაექანა. პეტრეს გაეღვიძა, წამოდგა, ძალს შეუტია, ტანთ გაიხადა და დაიძინა.

გალკანეთის ომის გამო.



ბერძენების ეროვნული გვარდია, საზეიმოდ გამოწყობილი.




ბოლგარელი ქალები.



რუმუქის მიდამოდან გლეხის ქალი სადღესასწაულოდ გამოწყობილი.



ძველსერბიის ქალი ერავენულ ტანისამოსში.



ალექსანდრე მაკედონელის სასახლის ნანგრევები მაკედონიის უძველეს ნაქალაქარ ფილიპპში.



სერბიელი ქალები.

მეორე დღით, პეტრე ისევ სამკალს წავიდა. მღვდლის ბიჭი არ მოვიდა და წერილი წაუკითხავი დარჩა. საღამოთი, პეტრე სამუშაოდან რომ ბრუნდებოდა, დედა წუხანდელსავით შეეგება, ნამგალი კარებშივე გამოართვა, ხელში პური მისცა და მღვდლიანთკენ გაჰგზავნა. პეტრე იმავ სახით წავიდა, რა სახითაც წუხელის. იმასაც ეჩქარებოდა წერილის წაკითხვა, მთელ დღეს იმასა ჰფიქრობდა, თუ ძმის გამოგზავნილ ქალაქში რა ეწერებოდა.

მღვდლის შვილი სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფე იყო. დიდი თავი ჰქონდა, ჭყეტელა თვალები და ხუჭუჭა თმები, შარვალზე მუხლის თავები დიდრონ საკერებლით ჰქონდა დაკერებული, იდაყვები გამოჰგლეჯოდა და წითელ წინწალა თეთრი პერანგი შიგ გამოსჩროდა, ქალამები ეცვა და ხელში შინდის დიდი სახრე ეჭირა, ქამარი ხალათს ქვეშ ჰქონდა შემორტყმული და ცხვირში ნაზეს ასრუტუნებდა. იგი ამაყად შევიდა ქოხში, ქუდი მოიხადა, ტახტზე ჩამოჯდა და სახრე გვერდით მოიღო. მართამ ქრაქი ანთო, წერილი ხალიჩის ქვეშ დან ამოიღო, ბიჭს მიაწოდა და თითონაც ტახტზე ჩამოჯდა.

— ერთი წაგვიკითხე, აგრემც ღმერთი გაგახარებს. ორი დღეა შინ გვიგდია და წამკითხავი არაფინა გვყავს. — ხელმწიფის სამსახურშია, ენაცვალოს დედაი! — დაუმატა მართამ, მაგრამ რისთვის დაუმატა, ამას კი ვერაფერს მიჰხვდება.

პატარა ბიჭმა კონვერტს თავი მოჰხია, წერილი გაშალა, სინათლისკენ დააბრუნა და ჩათვლით დაიწყო კითხვა დიდრონი, უსწორ-მასწორო და ასო-ნაკლები სიტყვები იყო დაწერილი, მელანი გახუნებული და ამიტომ ძნელად გასარჩევი. წერილისა ბევრი ვერა გაიგეს რა ერთის მეტი. პავლე იწერებოდა: გოგოებში ვიქეიფე ავად გავხდიო. მერე „ბალიცაში“ დამაწვინეს, დიდხან ვიყავ, ავად, წერილი ამიტომ დაგიგვიანეთო. ეხლა კი კარგადა ვარო.

ეს ახალი, არ-დასაჯერებელი ამბავი იყო. პეტრეს გონება აერია. ცხოვრებას ახალი ხრიკი გამოეგონა. დედამ ტირილი დაიწყო და წერილი ორჯერ კიდევ წაიკითხა. შემდეგ ლოცვა-კურთხევით და მადლობით გაისტუმრა მღვდლის შვილი. მართამა სთხოვა: ნურსად იტყვიო, მაგრამ მღვდლის შვილს ამის თქმა არ ესაქიროებოდა: ვიდრე შინ ჩავიდოდა, გზაშივე დაავიწყდა, რაც წერილში ეწერა და მისი შინაარსი ვერც თუ კითხვის დროს გაიგო.

პეტრემ ლოგინი ისევ ეზოში გაიშალა და ისევ ცას დაუწყო ცქერა. გული ბოდმით ჰქონდა სავსე. ბრაზი მოსდიოდა, მისი ძმა ქეიფობდა! „რა ექეიფება, ნეტა, ვიცოდე! ჩემს წლებზე ქეიფობს! ერთპა! გამოიჯდა გვერდებში!“ — ჰფიქრობდა პეტრე. მთელს სხეულში ტკივილები იგრძნო, სიბრაზე ყელში მოადგა. მთელი ქვეყანა უნამუსოების ბუდე ეგონა, უგულლობისა, სიმკაცრისა, კაცი-ჰამიაობისა. წინად დარწმუნებული იყო, ჩემი ძმა ბოდმით აღარ არის, რა კი ოჯახს მოჰშორდაო, ეხლა კი გაიგო, რომ ის იქა ჰქეიფობდა ისე ჰქეიფობს რომ ავადაცა ხდება! „რა უშავს — ჰფიქრობდა პეტრე: — ხელმწიფის კაცია, თუ ავად გახდება მოუვლიან ღმერთსა ჩვენს, მე კი დილაზე სამკალში უნდა წავიდე და ხვალ მზემ რომ დამკრას, ისე მოგვედები, ძალიც ვერ გაიგებს!“ და ჰგრძნობდა პეტრე, რომ ქვეყნად მარტო იყო, უტოლო, უამხანაგო, კაცი-ჰამია ცხოვრების პირისპირ. ეუღლს უნდა ეწია ჰამანი ღმერთად უნდა მომკვდარიყო. მაგრამ რად ან რისთვის, ამის გაგება ძნელი იყო. ბევრი ფიქრი უტრიალებდა პეტრეს თავში, მაგრამ მთელი დღის შრომით დაქანცულმა სხეულმა ფიქრი აღარ დააცალა, დასძლია და დააძინა; და როცა ძილი ერეოდა, პეტრეს ასე ეგონა, ის ცხრა-თავა დევი მაძინებს, რომ დილაიღის ახალი ძალა მოვიკრიბო და დილაზე კი ეს ძალა ისევ იმან წაიღოსო.

დილით, პეტრე სამუშაოდ რომ მიდიოდა, დედამა ჰკითხა: — ადამიანო! ი ბიჭს პასუხი არ უნდა მივწეროთ?!

— მისწერე, რა! — უკმეხად უპასუხა პეტრემ: — მე რომელი მსწავლული მნახე რომ წერილები გიწერო!

მართამ ყოველ საქმეს თავი დაანება და მღვდლიანთსა გავიდა, პატარა მწიგნობარი დაიჭირა და შინ წამოიყვანა. იქ, დუქანში ნათხოვი საწერ-კალამი მიართვა და წინა დღით ნაყიდი ქალაქი გაუშალა.

— მისწერე! — ეუბნებოდა მართა და თან ტახტზე იკეცებოდა: — მისწერე: ჩემო სიცოცხლე შვილო პავლე-თქო! პირვე-

ლად მაღალსა ღმერთსა ვთხოვთ-თქო შენს კარგად ყოფნასა-თქო.

— მღვდლის ბიჭი ცხვირში ასრუტუნებდა, მართას ნაკანხევს იმეორებდა და სწერდა:

— პირველად მაღალსა ღმერთსა ვთხოვთ-თქო შენს კარგად ყოფნასა-თქო. — მისი ბავშვური ხელი საბავშვო ასოებსა ჰხატავდა და თან სცდილობდა ლამაზად დაეწერა, რათა მის პატრონს ამაყობა შესძლებოდა.

— ეგრე! — ამბობდა მართა — ღმერთსა ვთხოვთ-თქო შენს ჯანმრთელობასა და კარგა ყოფნასა-თქო, ჩემო სიცოცხლე შვილო-თქო.

— ჩემო სიცოცხლე შვილო-თქო. — იძახდა მწერალი.

— ეგრე! მისწერე: შენი წერილი მივიღე-თქო, მადლობელი ვარ-თქო, დიდი-თქო. მაგრამ შენმა ავადმყოფობამ ძალიან დამაღონა-თქო.

— ძალიან დამაღონა-თქო!

— ეხლა ხომ კარგადა ხარ! თავს გაუბრთხილდი ან არ გაცივდე ან თოფს გაუბრთხილდი-თქო.

— გაუბრთხილდი-თქო.

— იმ საქმელს კი სად წაუვა, დედა მოუკვდეს იმასა, დედა! — ბუტბუტით ჩაურთო მართამ.

— მისწერე: ჩვენ კარგადა ვართ, ჩვენი დარდი ნუ გექნება. ღმერთმა შენი თავი მაჩვენოს კეთილად და კარგად-თქო, ზეციერმა მამამა-თქო! მანდეთ ომი არ იქნება და ნუ გეშინიან-თქო!

— ნუ გეშინიან-თქო. — ასრუტუნებდა პატარა ბიჭი.

— ეხლა ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი, ჩვენს ამბავსაც იკითხავ-თქო. ჩვენ კარგადა ვართ, არა გვიჭირს რა-თქო.

და მართამ მიაწერინა, რომ წელს სამი დღიური ნახნავი გვექონდაო, მოსავალი კარგია, ვენახსაც კარგი პირი უჩანს, მხოლოდ ეტყობა ხილმა გვიმტყუნა, წელს არაფრის იმედი მაქვსო. როცა ეს ცნობაც მისწერა და მისაწერი აღარაფერი დარჩა, შემდეგი უკარნახა:

— მისწერე: მოგიკითხა-თქო ძალოა ნინომ, კატომ, სოფომ და სალომემა-თქო, კიდევ მოგიკითხა ანანამ-თქო. გათხოვდა-თქო. შვილო შენ კარგად იყავ და მალე მაჩვენოს შენი თავი კარგად და კეთილად მაღალმა ღმერთმა და ღვთის მშობელმა, თორემ შენთვის ისეთი გოგო მყავს რომაა-თქო.

— მყავს რომა-თქო! — იმეორებდა პატარა ბიჭი.

— ეგრე! კიდევ მოგიკითხა ძალოა ნინომა, ანანამა, გათხოვდა-თქო. პეტრემ ბევრი გაკოცა-თქო. შენი დედა მართაა. სხვა აღარაფერი. გეყოფა. მადლობელი ვარ. — უთხრა მართამ მღვდლის ბიჭს, როცა წერილის წერა გაათავეს.

— ზეციერ მამასა ვთხოვ შენთვის ყოველსავე კარგსა. ღმერთმა ისე გაგახაროს, როგორც შენ მე გამახარე, წერილის დაწერითა. შენ შერჩი შენს მშობელსა. ფოფოლია მომიკითხე! — მიადხა კარში გასულ ბიჭს მართამ. მაგრამ მსმენელი აღარსად იყო. მან უკვე დაივიწყა, თუ რა დასწერა, დაივიწყა ისევე როგორც პავლეს წერილის შინაარსი.

მართას წერილი შინ მთელ თვეს ეღო, რადგანაც მარკის ფული არა ჰქონდა და მედუქნეც ნისიად აღარას აძლევდა: ჯერ ძველს გამისწორდო. მართა მეკვერცხეების ჩამოვლას უცდიდა: კვერცხებს მიეყიდი და სამარკე ფულს ვიშოვნიო. სულ მეკვერცხეების გზისაკენ ეჭირა მართას თვალი, მაგრამ თითქოს ჯიბრზეო ისინი არსადა სჩანდნენ. ამ ცდაში წერილი საღდაც დაიკარგა. მღვდლის ბიჭი, მამიდასთან გადასულიყო მეორე სოფელში და აღარ დაბრუნდა. ამ გვარად წერილის დამწერი აღარავინა ჰყავდა. თითონ მღვდელი დაჰპირდა დაწერასა, მაგრამ იმას კალოები ჰქონდა და ვიდრე მოიცლიდა კიდევ ერთმა თვემ გაიარა.

— დედა მოუკვდეს, დედა! წერილი ვეღარ მივწერე ი ბიჭსა. — ბუტბუტებდა მართა.

ი. ტატიშვილი.

